საქართველო

სანოტარო აქტი

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

ერთობლივი საქმიანობის შესახებ

ორიათასოთხი წლის ოთხი ოქტომბერი

ნოტარიუსი: ქეთინო ოდილავაძე
ქ.თბილისი, ტაბიძის ქ.№4

თბილისი
2004

სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის № 9247/1

საქართველო

ორიათასოთხი წლის ოთხი ოქტომბერს მე, ქეთინო ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ტაბიძის ქ.№4, მომმართა შპს "აქსის"-მა (რეგისტრირებული ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოში, რეგისტრაციის № 5ა/4-2403) წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე მეჟევიძის სახით და ბატონმა არჩილ ოჩიგავამ.

ბატონმა **ალექსანდრე მეჟევიძემ** განაცხადა, რომ არის შპს "აქსისი"-ს დირექტორი, ხოლო ბატონმა არჩილ ოჩიგავამ განაცხადა, რომ სურს მონაწილეობა მიიღოს ერთობლივ საქმიანობაში.

მათ გამოხატეს ხელშეკრულების დადების ნება და მოითხოვეს შესაბამისი ხელშეკრულების შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ბატონებმა ***ალექსანდრე მეჟევიძემ*** (დაბადებული 20.06.1970 წ., პასპორტი **P GEO №0872394, პირადი № 01030023014**, გაცემული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 14.08.2002 წ.) და ***არჩილ ოჩიგავამ*** (დაბადებული 04.07.1968, მცხოვრები ქ.თბილისი, გამსახურდიას გამზ. №3, პირადი №01026003592, პირადობის მოწმობა № ბ 0084434, გაცემული ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის შს II ქვეგანყოფილების მიერ 04.01.1996 წ.) მომმართეს.

მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა და ხელშეკრულების შინაარსი, შევადგინე წინამდებარე ხელშეკრულების პროექტი. მხარეებმა წაიკითხეს იგი, განაცხადეს, რომ ხელშეკრულება სრულად შეესაბამება მათ ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი შემდეგ ხელშეკრულებას:

ხელშეკრულება

ერთობლივი საქმიანობის შესახებ

ქ. თბილისი 4 ოქტომბერი 2004 წ.

ერთი მხრივ შპს "აქსისი" (რეგისტრირებული ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოში, რეგისტრაციის № 5ა/4-2403), წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე მეჟევიძის სახით, (დაბადებული 20.06.1970 წ., პასპორტი P GEO №0872394, პირადი № 01030023014, გაცემული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 14.08.2002 წ.) შემდგომში წოდებული "თავმჯდომარე", მეორე მხრივ მოქალაქე არჩილ ოჩიგავა (დაბადებული 04.07.1968, მცხოვრები ქ.თბილისი, გამსახურდიას გამზ. №3, პირადი №01026003592, პირადობის მოწმობა № ბ 0084434, გაცემული ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის შს II ქვეგანყოფილების მიერ 04.01.1996 წ.) შემდგომში წოდებული "საინიციატივო ჯგუფის წევრი", ერთად წოდებული "საინიციატივო ჯგუფი", ვთანხმდებით შემდეგზე :

1. ხელშეკრულების საგანი და ერთობლივი საქმიანობის მიზანი

1.1. თავმჯდომარის და საინიციატივო ჯგუფის წევრი მიერ ხდება ამხანაგობის შექმნის ორგანიზება, აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას და მოქმედებენ მის შესაბამისად.

1.2. საინიციატივო ჯგუფი კისრულობს ვალდებულებას, იურიდიული პირის შეუქმნელად ერთობლივად იმოქმედოს ერთიანი სამეურნეო მიზნის მისაღწევად, სახელდობრ მრავალფუნქციური კომპლექსის ასაშენებლად.

2. ამხანაგობის სახელწოდება და თავმჯდომარე

2.1 ინდივიდუალურ მენაშენთა ამხანაგობის სახელწოდებაა "საბურთალო 2005".

2.2 ამხანაობის თავმჯდომარეა ალექსანდრე მეჟევიძე.

3. ერთბლივი საქმიანობის მონაწილეთა შენატანები და უფლება-მოვალეობები

3.1. მხარეთა შენატანები :

3.1.1. 1.2. პუნქტში აღნიშნული მიზნის მისაღწევად შპს "აქსისი" შეისყიდის მიწის ნაკვეთს ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს

რაიონის ტერიტორიაზე, მოახდენს მშენებლობისათვის საჭირო ინვესტიციების მოზიდვას და მშენებლობის წარმოების ორგანიზებას.

3.1.2. საინიციატივო ჯგუფის წევრი უზრუნველყოფს ასაშენებელი კომპლექსის დაპროექტებისა და სათანადო ნებართვების მოპოვების ორგანიზებას, შეასრულებს ერთობლივი მიზნის მიღწევისათვის სხვადასხვა სახის საქმიანობას თავმჯდომარის მითითებების შესაბამისად.

3.2. ფინანსური (ან სხვა სახის) ინვესტიციების მოზიდვა განხორციელდება მშენებლობაში მონაწილეობის მიღების მსურველთაგან – ამხანაგობის ახალი წევრებისგან, რომლებიც შესაბამისად განახორციელებენ შენატანებს.

3.3. თითოეული წევრის შენატანის ღირებულება, შენატანის ვადები, წილები, წილების შესაბამისად მისაღები ქონება და ამ ქონების მდგომარეობა დეტალური სპეციფიკაციით განისაზღვრება ცალკე დადებული ინდივიდუალური ხელშეკრულებებით.

3.4. ამხანაგობა თავის საქმიანობას განახორციელებს ი.მ.ა. "საბურთალო 2005"-ის დებულების შესაბამისად.

3.5. ამხანაგობის საქმიანობის ყოველდღიურ მართვას ანხორციელებს თავმჯდომარე.

3.6. თავმჯდომარე წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში და მის მიერ დადებული გარიგებები ნამდვილია.

3.7. თავმჯდომარის დავალებების შესაბამისად საინიციატივო ჯგუფის წევრი ახორციელებს სხვადასხვა სახის საქმიანობას.

3.8. ამხანაგობის თავმჯდომარეს მინიჭებული ექნება შემდეგი უფლებამოსილებები :

ა) ამხანაგობის ყოველდღიური მართვის განხორციელებისას მიიღოს გადაწყვეტილებები ამხანაგობის საქმიანობასათან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.

ბ) განსაზღვროს ამხანაგობის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

გ) მოახდინოს მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის შეუფერხებლად წარმოებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების მოზიდვის ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

დ) მიიღოს გადაწყვეტილება ამხანაგობის წევრის მიღების, შეცვლის, გასვლის და გარიცხვის შესახებ.

ე) მოიწვიოს ამხანაგობის საერთო კრება.

3.9. თავმჯდომარე განკარგავს ამხანაგობის ფინანსურ სახსრებს ერთობლივი საქმიანობის მიზნის მისაღწევად.

3.10. ერთობლივი საქმიანობის მონაწილენი ვალდებულნი არიან არ გაახმაურონ ერთობლივი საქმიანობის შედეგად მირებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

4. დაუძლეველი ძალა

4.1 ერთობლივი საქმიანობის მონაწილენი თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან, ვალდებულების შეუსრულებლობისგან თუკი ეს გამოწვეული იყო დაუძლეველ ძალთა გარემოებათა გამო.

4.2. დაუძლეველი ძალა ნიშნავს ისეთ გარემოებას, რომელიც წარმოიშვება მხარეთა ნების გარეშე და რომლის დადგომის და მოქმედების კონტროლი აღემატება გონივრულ კონტროლს, თანახმად "ინკოტერმს-92"-ისა რომელიც კერძოდ მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) სტიქიურ უბედურებებს, მიწისძვრებს, სქაომარ მოქმედებებს, სამოქალაქო არეულობებს და სხვა. აგრეთვე კანონმდებლობის შეცვლა, ხელისუფლების მოქმედებები, მორატორიუმი, სასამართლოების გადაწყვეტილებები (განჩინებები), ადგილობრივი და ცენტრალური მმართველობის ორგანოების, მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებები, სხვა საკანონმდებლო, კანონქვემდებარე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, ყველა იმ სახის ქმედებები, რომლებიც ზემოთხსენებულის მსგავსად შეუძლებელს გახდიან ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ამ შემთხვევაში ვალდებულების შესრულება გადაიწევს იმ ვადით რა პერიოდშიც იარსებებს დაუძლეველ ძათა სიტუაცია.

5. დავები

5.1. ხელშეკრულების მონაწილეთა შორის წარმოშობილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

5.2. თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავას კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაწყვეტს სასამართლო.

6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და შეწყვეტა.

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერისა და ნოტარიულად დამოწმების დღიდან.

6.2 ერთობლივი საქმიანობა წყდება 1.2 პუნქტში აღნიშნული მიზნის მიღწევისას.

6.3 ხელშეკრულების გაუქმება დასაშვებია ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მონაწილეთა შეთანხმებით, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

7. დასკვნითი დებულებანი

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება იდება თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროში, დანარჩენი გადაეცემათ თავმჯდომარესა და საინიციატივო ჯგუფის წევრს.

7.2 ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნას მხოლოდ ხელშეკრულების მონაწილეთა თანხმობით.

7.3 ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდანვე.

7.4 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დანართი, დამატება წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7.5 ის ურთიერთობები, რომლებიც არ არიან რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.6 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება სავალდებულოა მხარეებისათვის ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.

7.7 ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ან მისი ნაწილის ბათილობა არ გამოიწვევს ხელშეკრულების დანარჩენი პირობების ბათილობას.

თავმჯდომარე : /ალ. მეჟევიძე/

საინიციატივო ჯგუფის წევრი : /ა. ოჩიგავა/

1. ამ ხელშეკრულების იმ ეგზემპლარებს, რომლებიც რჩება სანოტარო არქივში, თან ერთვის დანართი 3 დოკუმენტი: 1) შპს „აქსისის“ წესდება, 2) შპს „აქსისის“ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან გაცემული ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მიერ 2004 წლის 30 სექტემბერს, რეესტრი №5ა/4-2403, 3) 2004 წლის 4 ოქტომბრის შპს „აქსისის“ პარტნიორთა კრების ოქმი

2. მყიდველს ეკისრება სანოტარო მომსახურების საზღაურის გადახდა 18 ლარი.

3. ეს ხელშეკრულება შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ქ.ოდილავაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მხარეებს.

4. ნოტარიუსმა მხარეებს წაუკითხა ეს ხელშეკრულება, მხარეებმა წაიკითხეს ეს ხელშეკრულება დანართებითურთ და მკაფიოდ და ნათლად განაცხადეს, რომ ხელშეკრულება ზუსტად გამოხატავს მათ ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით ხელი მოაწერეს მას.

ქ.თბილისის სანოტარო ბიუროს
ნოტარიუსი ქ.ოდილავაძე

ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა "აქსისი პალასი"-ს
კრების ოქმი №5

ქ. თბილისი 15 ივნისი 2005წ.

კრებას ესწრებოდნენ:

1. ი.მ.ა. "აქსისი პალასი"-ს თავმჯდომარე ალექსანდრე მეჟევიძე (დაბადებული 20.06.1970წ., მცხ. ქ.თბილისში, ჩუბინაშვილის ქ.№14, პირადი №01030023014);
2. შპს "აქსისი" (ს/კ 211393357) წარმოდგენელი მისი დირექტორის ალექსანდრე მეჟევიძის (პირადი №01030023014) მიერ;
3. ი.მ.ა. "აქსისი პალასი"-ს საინიციატივო ჯგუფის წევრი არჩილ ოჩიგავა (დაბადებული 04.07.1968წ., მცხ. ქ.თბილისში, გამსახურდიას გამზ. №3, პირადი №01026003592);
4. ი.მ.ა. "აქსისი პალასი"-ს წევრი შპს "ვიქტორია", წარმოდგენილი მისი დირექტორის გრიგოლ ლოთუაშვილის მიერ (დაბადებული 10.07.1949წ., მცხ. ქ.თბილისში, აღმაშენებლის №187, პირადი №01005002791);
5. ი.მ.ა. "აქსისი პალასი"-ს წევრობის მსურველი შალვა ბაგრატიონ-დავითაშვილი (დაბადებული 07.01.1969წ., მცხ. ქ.თბილისში, ზ.ფანასკერტელის ქ.№17, პირადი №01009003924).

კრების თავჯდომარე: ა. მეჟევიძე
კრების მდივანი: ა. ოჩიგავა

დღის წესრიგი:

ინდივიდუალურ მენაშენთა ამხანაგობა "აქსისი პალასი"-ს საინიციატივო ჯგუფის წევრის არჩილ ოჩიგავას ამხანაგობიდან გასვლა და მის მაგივრად ამხანაგობის წევრად შალვა ბაგრატიონ-დავითაშვილის მიღება.

მოისმინეს:

სიტყვით გამოვიდა თავმჯდომარე, რომელმაც აღნიშნა, რომ ამხანაგობის საინიციატივო ჯგუფის წევრმა არჩილ ოჩიგავამ გამოთქვა ამხანაგობიდან გასვლის სურვილი და აღნიშნულის თაობაზე მიმართა ამხანაგობის თავმჯდომარეს. ა.ოჩიგავას შენატანს ამხანაგობაში წარმოადგენდა მომსახურების გაწევა, კერძოდ: ასაშენებელი კომპლექსის დაპროექტებისა და სათანადო ნებართვების მოპოვების ორგანიზება და ერთობლივი საქმიანობის მიზნის მისაღწევად სხვადასხვა დავალებების შესრულება თავმჯდომარის მითითებების შესაბამისად.
ვინაიდან ამხანაგობის წევრობის მსურველმა – შალვა ბაგრატიონ-დავითაშვილმა გამოთქვა სურვილი, რომ იგი ჩაანაცვლებს ამხანაგობის საინიციატივო ჯგუფის წევრს არჩილ ოჩიგავას და განახორციელებს შესაბამის შენატანს, თავმჯდომარეს შესაძლებლად მიაჩნია ა.ოჩიგავას მაგივრად ამხანაგობის წევრად შალვა ბაგრატიონ-დავითაშვილის მიღება.

თვმჯდომარემ მიმართა საერთო კრების მონაწილეებს წინადადებით: გაყვანილ იქნას ამხანაგობიდან იმა "აქსისი პალასი"-ს საინიციატივო ჯგუფის წევრი არჩილ ოჩიგავა და მის ნაცვლად ამხანაგობის წევრად მიღებულ იქნას შალვა ბაგრატიონ-დავითაშვილი.

აზრი გამოთქვეს:

კრების მონაწილეებმა მოიწონეს გამომსვლელის წინადადება და მხარი დაუჭირეს ი.მ.ა. "აქსისი პალასი"-ს საინიციატივო ჯგუფის წევრის არჩილ ოჩიგავას ამხანაგობიდან გასვლას და მის ნაცვლად ი.მ.ა. "აქსისი პალასი"-ს წევრად შალვა ბაგრატიონ-დავითაშვილის მიღებას.

კრებამ დაადგინა:

1. ი.მ.ა. "აქსისი პალასი"-ს წევრი არჩილ ოჩიგავა გაყვანილ იქნეს ამხანაგობიდა და მის ნაცვლად ამხანაგობის წევრად მიღებულ იქნას შალვა ბაგრატიონ-დავითაშვილი.
2. ამხანაგობის წევრობის მსურველი – შალვა ბაგრატიონ-დავითაშვილი დაიკავებს ამხანაგობის (საინიციატივო ჯგუფის) წევრის – არჩილ ოჩიგავას ადგილს ამხანაგობაში და მასზე გადადის ამხანაგობის წევრის უფლება-მოვალეობები ისეთივე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ამხანაგობის წევრის ხელში იყვნენ, შესაბამისად ამხანაგობის წეევრობის მსურველი შეასრულებს ყველა იმ მოვალეობას, რაც გამომდინარეობს 04.10.2004წ. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით და ამხანაგობის დებულებით.
3. შალვა ბაგრატიონ-დავითაშვილი შენატანს ამხანაგობაში განახორციელებს მომსახურების გაწევის სახით, კერძოდ: ასაშენებელი კომპლექსის დაპროექტებისა და სათანადო ნებართვების მოპოვების ორგანიზებას და ერთობლივი საქმიანობის მიზნის მისაღწევად სხვადასხვა დავალებების შესრულებას თავმჯდომარის მითითებების შესაბამისად.

კრების თავჯდომარე: /ა.მეჟევიძე/

კრების მდივანი: /ა.ოჩიგავა/

ამხანაგობის წევრობის მსურველი: შ.ბაგრატიონ-დავითაშვილი /შ.ბაგრატიონ-დავითაშვილი/

ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა "საბურთალო 2005"-ის კრების ოქმი № 4

ქ. თბილისი 15 ივნისი 2005წ.

კრებას ესწრებოდნენ:

1. ი.მ.ა. "საბურთალო 2005"-ის თავმჯდომარე ალექსანდრე მეჟევიძე (დაბადებული 20.06.1970 წ., პასპორტი P GEO №0872394, პირადი № 01030023014, გაცემული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 14.08.2002წ.);
2. ი.მ.ა. "საბურთალო 2005"-ის საინიციატივო ჯგუფის წევრი არჩილ ოჩბგავა (დაბადებული 04.07.1968, მცხოვრები ქ.თბილისი, გამსახურდიას გამზ. №3, პირადი №01026003592, პირადობის მოწმობა № ბ 0084434, გაცემული ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის შს II ქვეგანყოფილების მიერ 04.01.1996 წ.);
3. ი.მ.ა. "საბურთალო 2005"-ის წევრი შპს "ვიქტორია", წარმოდგენილი მისი დირექტორის გრიგოლ ლოთუაშვილის (დაბადებული 10.07.1949წ., მცხოვრები ქ.თბილისში, აღმაშენებლის №187, პირადობის მოწმობა № "ბ" 0080225, პირადი № 01005002791, გაცემული დიდუბის რაიონის შსგ-ს მიერ 11.10.1995წ.) სახით

კრების თავჯდომარე: ა. მეჟევიძე
კრების მდივანი: ა. ოჩიგავა

დღის წესრიგი:

ინდივიდუალურ მენაშენთა ამხანაგობა "საბურთალო 2005" სახელწოდების შეცვლა.

მოისმინეს:

სიტყვით გამოვიდა თავმჯდომარე, რომელმაც აღნიშნა, რომ საჭიროა შეიცვალოს ამხანაგობის სახელწოდება – "საბურთალო 2005", ვინაიდან იგი ზოგადი ხასიათის არის და შესაძლებელია ამგვარი სახელწოდება სხვა ამხანაგობებსაც ჰქონდეთ, რაც თავისმხრივ პრობლემებს წარმოშობს.

თავმჯდომარემ მიმართა საერთო კრების მონაწილეებს წინადადებით: ამხანაგობას დაერქვას სახელწოდება ი.მ.ა. “აქსისი პალასი”.

აზრი გამოთქვეს:

კრების მონაწილეებმა მოიწონეს გამომსვლელის წინადადება და მხარი დაუჭირეს სახელწოდება ი.მ.ა. "საბურთალო 2005"-ის სახელწოდება ი.მ.ა. “აქსისი პალას”-ით შეცვლას.

კრებამ დაადგინა:

1. ი.მ.ა. "საბურთალო 2005"-ს შეეცვალოს სახელწოდება და დაერქვას ი.მ.ა. “აქსისი პალასი”.
2. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით მოხდეს ამხანაგობის სახელწოდების შეცვლა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ.თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში (სადაც რეგისტრირებულია ამხანაგობის უძრავი ქონება), ვაკე-საბურთალოს რაიონის საგადასახადო ინსპექციაში და სხვა დაწესებულებებში.

კრების თავმჯდომარე: /ალ.მეჟევიძე./

კრების მდივანი: /ა. ოჩიგავა/

საქართველო

სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის № 1614/1

ორი ათას ხუთი წლის თხუთმეტ ივნისს, ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, გ.ტაბიძის ქ.№4. მომმართეს: ალექსანდრე მეჟევიძემ და არჩილ ოჩიგავამ.

მათ მოითხოვეს ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება, მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნადვილად: ალექსანდრე მეჟევიძემ (დაბ.20.06.1970წ., მცხ.ქ.თბილისში, ჩუბინიშვილის ქ. პასპორტი №0872394, პირადი №01030023014 გაცემული შსს მიერ 14.08.2002წ.) და არჩილ ოჩიგავამ (დაბ.04.07.1968წ., მცხ.ქ.თბილისში, გამსახურდიას გამზ. №3, პ/მ №01026003592, №ბ0084434 გაცემული საბურთალოს რაიონის შს II ქ/გ მიერ 04.01.1996წ.) მომმართეს.

მე შევამოწმე ალექსანდრე მეჟევიძის და არჩილ ოჩიგავას ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში და ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს თავიანთი ხელმოწერები, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სახელმწიფო 4 ლარი.

ნოტარიუსი ქ.ოდილავაძე





სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის №1-1917 საქართველო

ორიათასხუთი წლის ოცდაათ ივნისს მე, თინათინ დევდარიანი, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ირ. აბაშიძის ქ. №39, ბინა №23-ში, ვადასტურებ წარმოდგენილი *06.2005წლის ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „საბურთალო 2005“-ის კრების ოქმის (დადასტურებული ნოტარიუს ქ. თბილისში ქ. ოდილავაძის მიერ 15.06.2005წელს, რეესტრით №1614/1)* ფოტოასლის შესაბამისობას მის დედანთან. ფოტოასლში არ არის ამოშლილი, ამოფხეკილი, და/ან გადახაზული (გადაშლილი) სიტყვები, წინადადებები და მსგავსი გადასწორებანი. სანოტარო მოქმედება შესრულებულია *გრიგოლ მოდებაძის (დაბ. 04.06.1979წ. თბილისში, მცხ. ქ. თბილისი, ფონიჭალა, მე-3 მიკრორაიონი, კორპუსი 3, ბინა №59-ში, პირადი №01016000712, პირადობის მოწმობა №30393542, გაც. ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რ-ნის შსს მე-2 განყოფილების მიერ 26.06.2002წელს, პროფესიით ისტორიკოსი)* თხოვნით.

გადახდილია საზღაური “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ” საქართველოს კანონის (11 ივნისი 1998წ. №1417 II ს) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად: *0,80 (ოთხმოცი თეთრი)* ლარი.

ნოტარიუსი---------თინათინ დევდარიანი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

გაცნობებთ, რომ **იმა „აქსისი პალასი"-ს (ს/კ 205041033)** დებულების თანახმად თავმჯდომარეს ენიჭება არა მხოლოდ **ამხანაგობის ყოველდღიური მართვის უფლებამოსილება** (დებულების მე-18 მუხლი), არამედ ასევე შემდეგი უფლებამოსილებები, კერძოდ:

ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „აქსისი პალასი"-ს დებულების მე-17 მუხლის თანახმად **„ამხანაგობის წევრები თანახმა არიან და ანიჭებენ თავმჯდომარეს უფლებამოსილებას ერთპიროვნულად, თავისი შეხედულებისამებრ მართოს და განკარგოს (გაასხვისოს, იპოთეკით დატვირთოს, დააგირავოს და ა. შ) ამხანაგობის ქონება, ამხანაგობის სახელით დაუდგეს თავდებად მესამე პირებს".**

იმა „აქსისი პალასი"-ს დებულების **მე-20-ე მუხლის** თანახმად:

„ამხანაგობის თავმჯდომარეს ზემოაღნიშნული უფლებამოსილების გარდა მინიჭებული აქვს შემდეგი უფლებამოსილება:

ა) ამხანაგობის ყოველდღიური მართვის განხორციელებისას მიიღოს გადაწყვეტილებები ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.

ბ) განსაზღვროს ამხანაგობის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

გ) მოახდინოს მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის შეუფერხებლად წარმოებისთვის საჭირო ფინანსური სახსრების მოზიდვის ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

დ) დებულების, ერთობლივი საქმიანობის ან ინდივიდუალური ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიიღოს გადაწყვეტილება ამხანაგობის წევრის შეცვლის, გასვლის და გარიცხვის შესახებ.

ე) საჭიროებისამებრ მოიწვიოს ამხანაგობის საერთო კრება.

ვ) გადაანდოს თავისი უფლებამოსილება მესამე პირს - რწმუნებულს".

ყოველივე ზემო აღნიშნულის თავმჯდომარეს) აქვს შეუზღუდავი უფლებამოსილება შეათანხმოს პროექტი, უზრუნველყოს შეთანხმებული პროექტის კორექტირება, აიღოს მშენებლობის ნებართვა და ა.შ. ვინაიდან, ამხანაგობა შექმნილია მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის ასაშენებლად და მისი ყოველდღიურ საქმიანობას სწორედ ეს წარმოადგენს, ხოლო, იმა „აქსისი პალასი"-ს (ს/კ 205041033) დებულების თანახმად თავმჯდომარეს ენიჭება **ამხანაგობის ყოველდღიური მართვის უფლებამოსილება** (დებულების მე-18 მუხლი).

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ **იმა „აქსისი პალასი" (ს/კ 205041033)** შექმნის დღიდან დღემდე არაერთი ცვლილება განხორციელდა ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ, ვინაიდან, როგორც უკვე მოგახსენეთ, დებულებით თავმჯდომარეს ენიჭება შეუზღუდავი უფლებამოსილებები, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება პროექტის შეთანხმებას, დაკორექტირებას და ა.შ. ა.გ დამატებით კრების ოქმი არ ჭირდება აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებას.

იმა „აქსისი პალასი"-ს თავმჯდომარე /იოსებ ბუაჩიძე/

25.03.2026 წ.

ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა
"აქსის პალას"-ის საერთო კრების დადგენილება
ოქმი №

ქ. თბილისი 26 დეკემბერი 2006წ.

კრებას ესწრებოდნენ:

ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა "აქსის პალას"-ის თავმჯდომარე ალექსანდრე მეჟევიძე (დაბადებული 20.06.1970 წ., პასპორტი P GEO №0872394, პირადი № 01030023014, გაცემული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 14.08.2002წ.), რომელსაც წარმოადგენს ალექსანდრე სამარგულიანი (დაბ.09.07.1983წ., მცხ. ქ.თბილისში, საბურთალოს ქ.№40, IIკორპ., ბ.31., პ/მ №01024032511, №გ-0602327, გაცემული ვაკე-საბურთალოს რაიონის შს I განყოფილების მიერ 11.11.2004წ.) თანახმად 15.06.2005წ. №1610/1 რწმუნებულებისა (დამოწმებული ქ.თბილისის ნოტარიუსის ქ.ოდილავაძის მიერ), ირაკლი უკლება (დაბადებული 16.09.1978წ., მცხოვრები ქ.თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზ. №70, ბ.7, პირადობის მოწმობა № "გ" 0663795, პირადი № 01008002146, გაცემული ვაკის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის მიერ 17.05.2005წ.) და ამხანაგობის სხვა წევრები.

კრების თავჯდომარე: ა. მეჟევიძე (წარმომადგენელი ა.სამარგულიანი);
კრების მდივანი: ი.უკლება.

დღის წესრიგი:

ინდივიდუალურ მენაშენთა ამხანაგობა "აქსის პალას"-ის თავმჯდომარის ალექსანდრე მეჟევიძის ამხანაგობის თავმჯდომარეობიდან გადარჩევა და მის მაგივრად ახალი თავმჯდომარის არჩევა.

მოისმინეს:

სიტყვით გამოვიდა თავმჯდომარის წარმომადგენელი ალექსანდრე სამარგულიანი, რომელმაც აღნიშნა, რომ ამხანაგობის თავმჯდომარემ ალექსანდრე მეჟევიძემ გამოთქვა სურვილი გადარჩეულ იქნას ამხანაგობის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

ინდივიდუალურ მენაშენთა ამხანაგობა "აქსის პალას"-ის თავმჯდომარის თანამდებობაზე კრების მონაწილეების წინაშე წარდგენილი იქნა ირაკლი უკლებას კანდიდატურა.

აზრი გასმოთქვეს:

კრების მონაწილეები დაეთანხმნენ ალექსანდრე მეჟევიძის ამხანაგობის თავმჯდომარეობიდან გადადგომას. ამხანაგობის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი კანდიდატურა და მხარი დაუჭირეს ინდივიდუალურ მენაშენთა ამხანაგობა "აქსის პალას"-ის თავმჯდომარედ ირაკლი უკლებას არჩევას.

კრებამ დაადგინა:

1. განთავისუფლებულ იქნას ალექსანდრე მეჟევიძე ინდივიდუალურ მენაშენთა ამხანაგობა "აქსის პალას"-ის თავმჯდომარეობიდან.
2. ინდივიდუალურ მენაშენთა ამხანაგობა "აქსის პალას"-ის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ირაკლი უკლება.

კრების თავჯდომარე: /ალ.მეჟევიძე,
წარმომადგენელი
ა.სამარგულიანი/

კრების მდივანი: /ი.უკლება/

საქართველო

სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის № 5478/1

ორი ათას ექვსი წლის ოცდაექვს დეკემბერს, მე ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, გ.ტაბიძის ქ.№4. მომმართეს: ალექსანდრე მეჟევიძის ნდობით აღჭურვილმა პირმა ალექსანჟრე სამარგულიანმა და ირაკლი უკლებამ. (მინდობილობა დამოწმებული 2005 წლის 15 ივნისს, ნოტარიუსი ქ.ოდილავაძის მიერ რეესტრი №1610/1)

მათ მოითხოვეს ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება, მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნადვილად: ალექსანდრე სამარგულიანმა (დაბ.09.07.1983წ., მცხ.ქ.თბილისში, საბურთალოს №40, კორპ.2, ბ.31, პ/მ №01024032511, №გ0602327 გაცემული ვაკე-საბურთალოს რაიონის შს I განყოფილების მიერ 11.11.2004წ.) და ირაკლი უკლებამ (დაბ.16.09.1978წ., მცხ.ქ.თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზ.№70, ბ.7, პ/მ №01008002146, №გ0663795 გაცემული ვაკის სრ და მრს მიერ 17.05.2005წ.) მომმართეს.

მე შევამოწმე ალექსანდრე სამარგულიანის და ირაკლი უკლებას ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში და ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს თავიანთი ხელმოწერები, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია საზღაური 4.72 ლარი.

ნოტარიუსი ქ.ოდილავაძე



ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა "საბურთალო 2005"-ის სადამფუძვნებლო კრების ოქმი

№1

ქ. თბილისი 4 ოქტომბერი 2004 წ.

კრებას ესწრებოდნენ

1. შპს "აქსისი" (რეგისტრირებული ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოში, რეგისტრაციის № 5ა/4-2403) წარმომადგენელი მისი დირექტორის ალექსანდრე მეჟევიძის (დაბადებული 20.06.1970 წ., პასპორტი P GEO №0872394, პირადი № 01030023014, გაცემული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 14.08.2002 წ.) სახით.
2. არჩილ ოჩიგავა (დაბადებული 04.07.1968, მცხოვრები ქ.თბილისი, გამსახურდიას გამზ. №3, პირადი №01026003592, პირადობის მოწმობა № ბ 0084434, გაცემული ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის შს II ქვეგანყოფილების მიერ 04.01.1996 წ.)

კრების თავჯდომარე: ა. მეჟევიძე
კრების მდივანი: ა. ოჩიგავა

დღის წესრიგი:

ამხანაგობის შექმნის ორგანიზება ერთიანი სამეურნეო მიზნის მისაღწევად, სახელდობრ მრავალფუნქციური კომპლექსის ასაშენებლად და ამისათვის ერთობლივი საქმიანობის ერთ-ერთი მონაწილის - შპს "აქსისი"-ს მიერ ვაკე-საბურთალოს რაიონის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთის შესყიდვა.

მოისმინეს:

სიტყვით გამოვიდა ალექსანდრე მეჟევიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ მართებულია ამხანაგობისათვის საბურთალოს ქ. №32-ში მდებარე მიწის ნაკვეთის შესყიდვა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის ასაშენებლად და საკუთრების უფლებით ამხანაგობის სახელზე დარეგისტრირება საჯარო რეესტრში, ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევა, დებულების შემუშავება.

აზრი გასმოთქვეს:

კრების მონაწილეებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს გამომსვლელის წინადადებას.

კრებამ დაადგინა:

1. შეიქმნას ინდივიდუალურ მენაშენთა ამხანაგობა "საბურთალო 2005"
2. ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ალექსანდრე მეჟევიძე.
3. შპს "აქსისი"-ს მიერ შესყიდულ იქნას ამხანაგობისათვის საბურთალოს ქ. №32-ში მდებარე მიწის ნაკვეთი მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის ასაშენებლად და საკუთრების უფლებით დარეგისტრირდეს ამხანაგობის სახელზე საჯარო რეესტრში.
4. შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნას ი.მ.ა. "საბურთალო 2005"-ის დებულება.
5. ამხანაგობამ თავის საქმიანობა განახორციელოს ი.მ.ა. "საბურთალო 2005"-ის დებულების და ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების შესაბამისად.

კრების თავჯდომარე: /ალ. მეჟევიძე/

კრების მდივანი: /ა. ოჩიგავა/

საქართველო

სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის № 9745//

ორი ათას ოთხი წლის ოთხ ოქტომბერს, ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, გ.ტაბიძის ქ.№4. მომმართეს: ალექსანდრე მეჟევიძემ და არჩილ ოჩიგავამ.

მათ მოითხოვეს ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება, მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნადვილად: ალექსანდრე მეჟევიძემ (დაბ.20.06.1970წ., მცხ.ქ.თბილისში, ჩუბინაშვილის №14, პ/მ №01030023014, №ა0274477 გაცემული ჩუღურეთის შსს მიერ 25.08.2000წ.) და არჩილ ოჩიგავამ (დაბ.04.07.1968წ., მცხ.ქ.თბილისში, გამსახურდიას გამზ 3, ბ.5, პ/მ №01026003592, №ბ0084434 გაცემული საბურთალოს რაიონის შს მეორე ქ/გ მიერ 04.01.1996წ.) მომმართეს.

მე შევამოწმე ალექსანდრე მეჟევიძის და არჩილ ოჩიგავას ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში და ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს თავიანთი ხელმოწერები, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სახელმწიფო 4 ლარი.

ნოტარიუსი ქ.ოდილავაძე



ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა
"აქსისი პალასი"-ს დებულება

მუხლი 1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა "აქსისი პალასი"-ს (შემდგომში "ამხანაგობა") ერთობლივი საქმიანობის სახეობას და მიზანს, მის ჩარგრძლიებას, წევრთა უფლება-მოვალეობებს, ამხანაგობიდან გასვლის წესს, თავმჯდომარის უფლებამოსილებას, მართვის სტრუქტურასა და ფუნქციებს, ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტისა და ქონების განაწილების წესს.

მუხლი 2. წინამდებარე დებულების პირობები სავალდებულოა ყოველი წევრისათვის. ყოველ მსურველს თავისი შენატანით შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამხანაგობის ერთობლივ საქმიანობაში საერთო მიზნის მისაღწევად (წინამდებარე დებულების მე-6-ე მუხლის შესაბამისად).

მუხლი 3. ი.მ.ა. "აქსისი პალასი" შექმნილია ამხანაგობის წევრ მენაშენეთა მიერ მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის ასაშენებლად.

მუხლი 4. ამხანაგობა წყვეტს მოქმედებას საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღების და ერთობლივი საქმიანობის შედეგად შექმნილი ქონების მონაწილეებზე განაწილების შემდეგ.

მუხლი 5. ამხანაგობის რომელიმე წევრის ან წევრების გასვლა (შეცვლა) ან გარდაცვალება არ იწვევს ამხანაგობის დაშლას.

მუხლი 6. ამხანაგობის წევრები კისრულობენ ვალდებულებას, იურიდიული პირის შეუქმნელად, ერთობლივად იმოქმედონ ერთიანი სამეურნეო მიზნის მისაღწევად, სახელდობრ მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის ასაშენებლად, ქ თბილისში, საბურთალოს ქ. №32-ში.

მუხლი 7. ყოველი წევრი იღებს ვალდებულებას დროულად მოახდინოს საწევრო შენატანების შეტანა ამხანაგობაში. ამხანაგობის წევრის წილი წარმოიშობა სახლის მშენებლობაში რეალურად და სრულად განხორციელებული შენატანის მიხედვით.

მუხლი 8. ამხანაგობის წევრი ვალდებულია კეთილსინდისიერად ისარგებლოს თავისი უფლებებით, რომელიც მას ამხანაგობაში გაწევრიანებით წარმოეშვა და არ განახორციელოს ქმედებები, რამაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ერთობლივ საქმიანობაზე.

მუხლი 9. მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის ექსპლუატაციაში მიღებისა და განკუთვნილი ფართის საკუთრებაში გაფორმების შემდეგ ამხანაგობის წევრი ვალდებულია წილის პროპორციულად მონაწილეობა მიიღოს იმ ხარჯებში, რაც დაკავშირებული იქნება სახლის ექსპლუატაციასთან და ტექნიკურ მომსახურებასთან, სახლის საერთო სარგებლობის ფართის, საინჟინრო კომუნიკაციების გამოყენებასა და კომუნალურ მომსახურებასთან, თუ მე-15-ე მუხლში აღნიშნული ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 10. ამხანაგობიდან გამსვლელ წევრს კომპენსაცია მიეცემა ფულადი სახით, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც შესაძლებელია სხვა ქონების სახით განხორციელებული შენატანის უკან გაძოტანა და ეს არ ეწინააღმდეგება წინამდებარე დებულების მე-13-ე მუხლს.

მუხლი 11. ამხანაგობის წევრის მიერ თავისი წილობრივი შენატანისათვის დადგენილი ვადის ან გრაფიკის (რომელიც განისაზღვრება მე-13-ე მუხლში აღნიშნულ ხელშეკრულებებში) გადაცილების შემთხვევაში, როდესაც გადაცილება შეადგენს 21 (ოცდაერთ) კალენდარულ დღეს, ან თუ წევრმა ვერ შეძლო ნაკისრი ვალდებულების სრულად და სათანადოდ შესრულება, ამხანაგობის მიერ განიხილება როგორც უარი წევრის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, მას ეცნობება ამის შესახებ და დაიწყება მის წილზე უფლების გასხვისების პროცედურა შესაბამისი ახალი წევრის მოძებნით. ამხანაგობა აუნაზღაურებს წევრს მის მიერ პროცედურის დაწყების მომენტამდე განხორციელებულ შენატანს, დამატებითი (ინდივიდუალური) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გამოკლებით.

მუხლი 12. იმ შემთხვევაში, როდესაც წევრი გამოთქვამს სურვილს ამხანაგობიდან გასვლაზე, მაშინ უნდა დაიწყოს გამსვლელი წევრის წილზე უფლების გასხვისების პროცედურა შესაბამისი ახალი წევრის მოძებნით, რომლის სრული შესატანი თანხა უნდა იყოს არანაკლები გამსვლელი წევრის მიერ განსახორციელებელი მთლიანი შენატანისა, რის შედეგადაც გამსვლელი წევრი დაკარგავს

ლებას თავის წილზე და ეს უფლება გადაეცემა პირს (შემომსვლელ წევრს), რომელიც მოახდენს ჯირო ფინანსურ უზრუნველყოფას, ხოლო ამის შემდგომ გამსვლელ წევრს დაუბრუნდება მის ერ განხორციელებული შენატანი. გასვლის შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს თავმჯდომარეს რი თვით ადრე.

მუხლი 13. ამხანაგობიდან გასვლა დაუშვებელია ისეთ დროს ან ისეთ ვითარებაში, რომელიც საზიანო იქნება ერთობლივი საქმიანობისათვის.

მუხლი 14. ამხანაგობის ყოველ წევრს შეუძლია მისი წილობრივი შენატანით წარმოქმნილი უფლების გასხვისება, წინამდებარე დებულების მე-13-ე მუხლის გათვალისწინებით, თუ ამას დაეთანხმება ამხანაგობის თავმჯდომარე. ამ შემთხვევაში უფლების შემძენი პირი ხდება უფლების გამსხვისებელი წევრის უფლებამონაცვლე და მასზე გადადის გამსხვისებელი წევრის ყველა უფლება და ვალდებულება.

მუხლი 15. თითოეული წევრის შენატანის ღირებულება, შეტანის ვადები, წილები, წილების შესაბამისად მისაღები ქონება და ამ ქონების მდგომარეობა დეტალური სპეციფიკაციით განისაზღვრება ცალკე დადებული ინდივიდუალური ხელშეკრულებებით.

მუხლი 16. საინიციატივო ჯგუფის და თავმჯდომარის მიერ ხდება ამხანაგობის შექმნის ორგანიზება; თავმჯდომარე მოქმედებს წინამდებარე დებულების შესაბამისად.

მუხლი 17. ამხანაგობის წევრები თანახმა არიან და ანიჭებენ თავმჯდომარეს უფლებამოსილებას ერთპიროვნულად, თავისი შეხედულებისამებრ მართოს და განკარგოს (გაასხვისოს, იპოთეკით დატვირთოს, დააგირავოს და ა.შ.) ამხანაგობის ქონება, ამხანაგობის სახელით დაუდგეს თავდებად მესამე პირებს.

მუხლი 18. ამხანაგობის საქმიანობის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს თავმჯდომარე.

მუხლი 19. თავმჯდომარე წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში და მის მიერ დადებული გარიგებები ნამდვილია.

მუხლი 20. ამხანაგობის თავმჯდომარეს ზემოაღნიშნული უფლებამოსილების გარდა მინიჭებული აქვს შემდეგი უფლებამოსილება:

ა) ამხანაგობის ყოველდღიური მართვის განხორციელებისას მიიღოს გადაწყვეტილებები ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.
ბ) განსაზღვროს ამხანაგობის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.
გ) მოახდინოს მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის შეუფერხებლად წარმოებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების მოზიდვის ორგანიზაციული უზრუნველყოფა.
დ) წინამდებარე დებულების, ერთობლივი საქმიანობის ან ინდივიდუალური ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიიღოს გადაწყვეტილება ამხანაგობის წევრის შეცვლის, გასვლის და გარიცხვის შესახებ.
ე) საჭიროებისამებრ მოიწვიოს ამხანაგობის საერთო კრება.
ვ) გადაანდოს თავისი უფლებამოსილება მესამე პირს – რწმუნებულს.

მუხლი 21. თავმჯდომარე განკარგავს ამხანაგობის ფინანსურ სახსრებს ერთობლივი საქმიანობის შესაბამისად ამხანაგობის მიზნის მისაღწევად (წინამდებარე დებულების მე-6-ე მუხლი).

მუხლი 22. იმ შემთხვევაში, თუ თავმჯდომარე ვერ შეძლებს მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას (მშენებლობის ორგანიზაციული და ფინანსური სახსრების მოზიდვის უზრუნველყოფა) და მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობის შეფერხების საშიშროება წარმოიშობა, მაშინ თავმჯდომარე ვალდებულია ალტერნატიული წყაროებიდან მოიზიდოს მშენებლობის დასასრულებლად საჭირო ფინანსური სახსრები. ასეთ შემთხვევაში თავმჯდომარე კარგავს თავის წილს (უფლებას წილზე) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ეს წილი (უფლება წილზე) გადაეცემა ინვესტორს.

მუხლი 23. ამხანაგობის წევრებისა და მესამე პირების წინაშე თავმჯდომარე პასუხს აგებს თავისი შენატანისა და მის სანაცვლოდ ასაშენებელი ფართის ოდენობით, იმ შემთხვევაში როდესაც არასასურველი შედეგები დადგა მისი ბრალეული მოქმედებით (უმოქმედობით).

მუხლი 24. ამხანაგობის საერთო კრების ფუნქციაში შედის **სახლის** ექსპლუატაციაში მიღებისას ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა შორის საცხოვრებელი **და/ან** არასაცხოვრებელი ფართების განაწილების დამტკიცება. ამხანაგობის საერთო კრების **შესახებ უნდა** გაფორმდეს **შესაბამისი** ოქმი, რომელსაც ხელს აწერს ამხანაგობის თავმჯდომარე და **საერთო** კრების **სხდომის მდივანი.**

მუხლი 25. ერთობლივი საქმიანობის მონაწილენი ვალდებულნი **არიან** არ გაახმაუროონ ერთობლივი საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

მუხლი 26. ერთობლივი საქმიანობის მონაწილენი **თავისუფლდებიან** პასუხისმგებლობისაგან, ვალდებულების შეუსრულებლობისთვის თუკი ეს **გამოწვეული** იყო დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო.

მუხლი 27. დაუძლეველი ძალა ნიშნავს ისეთ გარემოებას, **რომელიც** წამროიშვება მხარეთა ნების გარეშე და რომლის დადგომის და მოქმედების კონტროლი **აღემატება** გონიერულ კონტროლს, რომელიც კერძოდ მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) **სტიქიურ** უბედურებებს, მიწისძვრებს, **საომარ მოქმედებებს, სამოქალაქო** არეულებებს და **სხვა. კანონმდებლობის შეცვლა.** ხელისუფლების მოქმედებები. მორატორიუმი. **აგრეთვე სასამართლოების გადაწყვეტილებები** (განჩინებები). ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების **ორგანოთა** გადაწყვეტილებები, სხვა საკანონმდებლო, კანონქვემდებარე, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები, ყველა იმ სახის ქმედებები, რომლებიც ზემოთხსენებლის მსგავსად **შეუძლებელს** გახდიან ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ამ შემთხვევაში ვალდებულების შესრულება გადაიწევს იმ ვადით რა პერიოდშიც იარსებებს დაუძლეველი ძალის სიტუაცია.

მუხლი 28. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე წევრის **ბრალით შეიქმნება** ისეთი გარემოებები, რომელიც საფრთხეს შეუქმნის, გააძნელებს ან შეუძლებელს **გახდის** მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას, მთელი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ამ წევრს და მან თავისი ხარჯით უნდა გამოასწოროს არსებული **მდგომარეობა,** ანდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, ხოლო თავმჯდომარე თავისუფლდება **ყოველგვარი** პასუხისმგებლობებისაგან ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო.

მუხლი 29. ერთობლივი საქმიანობის შედეგად შექმნილი **ქონება ნაწილდება** მონაწილეებზე მათი წილების შესაბამისად, რაც განსაზღვრულია ინდივიდუალური **ხელშეკრულებებით.**

სანოტარო აქტი

საქართველო

რეესტრში რეგისტრაციის №1599//.

ორი ათას შვიდი წლის ოცდარვა მარტს, მე ქეთევან ოლილავაძეს, ნოტარიუს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, გ.ტაბიძის ქ.№4 მომმართეს: ირაკლი უკლებამ, არჩილ ოჩიგავამ და შპს „ვიქტორიას“ დირექტორმა გიორგი ბალათურიამ.

მათ განაცხადეს, რომ არიან ი.მ.ა. „აქსისი პალასი“-ს წევრები. მათ წარმოადგინეს დებულება და მოითხოვეს მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მათი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: ირაკლი უკლებამ (დაბ.16.09.1978წ., მცხ.ქ.თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზ. №70, ბ.7, პ/მ №01008002146, №გ0663795 გაცემული ვაკის საპასპორტო და მრს მიერ 17.05.2005წ.), არჩილ ოჩიგავამ (დაბ.04.07.1968წ., მცხ.ქ.თბილისში, გამსახურდიას გამზ. №3, პ/მ №01026003592, №ბ0084434 გაცემული საბურთალოს რაიონის შს II ქ/გ მიერ 04.01.1996წ.) და გიორგი ბალათურიამ (დაბ.22.03.1948წ., მცხ.ქ.თბილისში, ტოვსტონოგოვის №5, პ/მ №65002003477, №ბ0942546 გაცემული სრს დიღუბის სამსახურის მიერ 24.05.2006წ.) მომმართეს.

მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. დებულება შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. მე ამხანაგობის წევრებს წავუკითხე დებულება და განვუმარტე მისი შინაარსი, აგრეთვე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მათ განაცხადეს, რომ დებულება ზუსტად გამოხატავს მათ ნებას. შემდეგ მათ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი დებულებას.

გადახდილია საზღაური 29,50 ლარი (სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონი II ივნისი 1998წ. №1417 II-ს)

ქ.თბილისის სანოტარო ბიუროს ნოტარიუსი

ქ.ოლილავაძე

ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა
"აქსის პალას"-ის საერთო კრების დადგენილება
ოქმი №

ქ. თბილისი 13 მაისი 2010წ.

კრებას ესწრებოდნენ:

ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა "აქსის პალასი"-ს თავმჯდომარე ირაკლი უკლება (დაბ. 16.09.1978წ., პირადი № 01008002146), ლევან ტყეშელაშვილი (დაბ. 25.08.1979წ., პირადი ნომერი 01016001192), იოსებ ბუაჩიძე (დაბ. 02.06.1965წ., პირადი № 01008007345) და ამხანაგობის სხვა წევრები.

კრების თავჯდომარე: ირაკლი უკლება
კრების მდივანი: ლევან ტყეშელაშვილი

დღის წესრიგი:

ინდივიდუალურ მენაშენთა ამხანაგობა "აქსის პალასი"-ს თავმჯდომარის ირაკლი უკლებას ამხანაგობის თავმჯდომარეობიდან გადარჩევა და მის მაგივრად ახალი თავმჯდომარის არჩევა.

მოისმინეს:

სიტყვით გამოვიდა ამხანაგობის თავმჯდომარე ირაკლი უკლება, რომელმაც გამოთქვა სურვილი გადარჩეულ იქნას ამხანაგობის თავმჯდომარის თანამდებობიდან.
ინდივიდუალურ მენაშენთა ამხანაგობა "აქსის პალასი"-ს თავმჯდომარედ კრების მონაწილეების წინაშე წარდგენილი იქნა იოსებ ბუაჩიძეს კანდიდატურა.

აზრი გასმოთქვეს:

კრების მონაწილეები დაეთანხმნენ ირაკლი უკლებას ამხანაგობის თავმჯდომარეობიდან გადადგომას. ამხანაგობის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი კანდიდატურა და მხარი დაუჭირეს ინდივიდუალურ მენაშენთა ამხანაგობა "აქსის პალასი"-ს თავმჯდომარედ იოსებ ბუაჩიძეს არჩევას.

კრებამ დაადგინა:

1. განთავისუფლებულ იქნას ირაკლი შკლება ინდივიდუალ ამხანაგობა "აქსის პალასი"-ს თავმჯდომარეობიდან.
2. ინდივიდუალურ მეწარმეთა ამხანაგობა "აქსის პალასი"-ს თავმჯდომარედ არჩეულ იქნას იოსებ ბუაძიძე.

კრების თავჯდომარე: /ი.შკლება/

კრების მდივანი: /ლ.ტყემშელაშვილი/

ამხანაგობის წევრი /ი.ბუაძიძე/

საქართველო

სანოტარო აქტი

მე ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ტაბიძის ქ.№7 მივლინებული შარტავას ქ.№7-ში (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 11 აგვისტოს ბრძანება №114). მომმართეს: **ლევან ტყეშელაშვილმა და ირაკლი უკლებამ.**

მათ მოითხოვეს ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება, მხარეს წაეკითხა ხმამაღლა და განემრტა, რომ ხელისმოწერით დოკუმენტის შინაარსი არ მოწმდება, მე შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: **ლევან ტყეშელაშვილმა (დაბ.25.08.1979წ., მცხ.ქ.თბილისში, ფონიჭალა 3, კორპ.26, ბ.67, პ/მ №01016001192, №ბ0926769 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს კრწანისის სამსახურის მიერ 13.04.2006წ.) და ირაკლი უკლებამ (დაბ.16.09.1978წ., მცხ.ქ.თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზ. №70, ბ.7, პ/მ №01008002146, №გ0663795 გაცემული კაკის საპასპორტო და მრს მიერ 17.05.2005წ.)** მომმართეს.

მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მათი ნების გამოვლენის ნამდვილობაში და ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს თავისი ხელმოწერები, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია საზღაური 4.72 ლარი, დღგ-ს ჩათვლით და სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2 ლარი

ქ.თბილისის სანოტარო ბიუროს
ნოტარიუსი ქ.ოდილავაძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N100455479
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	13.05.2010 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ქეთევან ოდილავაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილის ქ. შარტავას ქ 7
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	37 83 24
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	75402773361410

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

შემოსავლების სამსახური

ინფორმაცია საგადასახადო რეგისტრაციის შესახებ (გარდა მეწარმეთა შესახებ კანონით განსაზღვრული სუბიექტებისა)

სახელწოდება:	აქსისი პალასი ყოფ საბურთალოს 2005
იურიდიული მისამართი:	ვაკე-საბურთალო / საბურთალოს 32
საიდენტიფიკაციო კოდი:	205041033
სამართლებრივი ფორმა:	ამხანაგობა
საიდ.მინიჭების თარიღი:	07/10/2004
სტატუსი:	მოქმედია
შენიშვნა:	

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

01008007345 - იოსებ ბუაჩიძე

ყადაღა / აკრძალვა:	რეგისტრირებული არ არის
საგადასახადო გირავნობა / იპოთეკის უფლება:	რეგისტრირებული არ არის

ინფორმაციის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.rs.ge

24/03/2026 05:57:20